ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1061816

ნომერი: AR1185968

თარიღი : 20.12.2013

გაცემის თარიღი : 27.12.2013

გაცნობის თარიღი : 27.12.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 , (ნაკვ. 20/52) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო სესიაშვილი პ/ნ 01013012866
- თბილისი ვარკეთილი 3 I მ/რ კორ. 25 ბ. 73

ორგანიზაცია:

- ნეკერი+ კოდი: 206306889

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის

05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: ##01.10.10.020.129, 01.10.10.020.127) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

სამრეწველო ზონა 1 (ს-1):
ა) სამრეწველო ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები;
ბ) შესაძლებელია სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად (ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4–13).

აქვე გაცნობებთ, იმისათვის რომ არქიტექტურის სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გთხოვთ დააკონკრეტოთ მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.